ლონდონი, 8 ივლისი. (საკ-დესი). კეიპტაუნიდან მიღებული ცნობებით, ბლაიბერგის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც ნახევარი წელიწადია ცოცხლობს გადანერგილი გულით, გაუმჯობესდა. უკანასკნელ ორ დღეს დადიოდა ხმები, რომ ბლაიბერგი კრიზისულ მდგომარეობაშია და რომ მას უნდა გადაუნერგონ მეორე გული. უკვე ორი კვირაა, რაც ბლაიბერგი გეპატიტითა და ფილტვების ანთებით დაავადების გამო იმყოფება პროფესორ ბერნარდის კლინიკაში, რომელმაც მას ოპერაცია გაუკეთა. კლინიკის ბიულეტენში აღნიშნულია, რომ ამჟამად ექიმები არ აპირებენ მიმართონ „საგანგებო ღონისძიებებს" და რომ ბლაიბერგს აძლევენ მხოლოდ ანტილიმფაციტურ შრატს ფილტვების სამკურნალოდ.

გაკოტრება გრძელდება

ტოკიო, 8 ივლისი. (საკ-დესი). წელს ივნისში იაპონიაში გაკოტრდა 1.009 კომპანია. ტოკიოს კომერციული კანტორის „სოკო კოსანბოს" მონაცემებით, რომლებიც აქ გამოქვეყნდა, გაკოტრებული კომპანიების დავალიანების საერთო თანხა 101 მილიარდ იენს სჭარბობს.

მხოლოდ ფაქტები

□ ვარშავა, 8 ივლისი. (საკ-დესი). დღეს ვარშავაში გაიხსნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება პარტიის ბოლიტიკური მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ პლენუმზე გააკეთა საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ვალდეკ როშემ.

□ ბუდაპეშტი. (საკ-დესი). წარმატებით დამთავრდა გამოცდა სამი პირველი ესკალატორისა, რომლებიც დამონტაჟეს ბუდაპეშტში მშენებარე ახალი მეტროპოლიტენის ერთ-ერთ სადგურზე. მოწყობილობა ამ ესკალატორებისათვის, რომელთა გამოუდგა ერთ კვირას მინდინარეობდა, დამზადებულია ლენინგრადის ქარხანაში. და აღწევს საბჭოთა სპეციალისტების მონაწილეობით.

□ პარიზი, 8 ივლისი. (საკ-დესი). საფრანგეთმა განაახლა ატომური იარაღის გამოცდა წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში. გუშინ მან საშუალო სიმძლავრის მუხტი აფეთქა საცდელ პოლიგონზე მურუროას ატოლში.

ატლანტიკა საფრთხეშია

ნიუ-იორკი, 8 ივლისი. (საკ-დესი). როგორც ამერიკის ეურნალი „ნიუსუიკი" იუწყება, პენტაგონში შეშფოთებით მოელიან, როდის მოსწყდება ჩრდილოეთის ვარსკვლავის ყურეს და დაიწყებს დრეიფს გრენლანდიის ყინული.

საშიშროება ის არის, რომ ყინულის ეს ნაწილი მოწამლულია რადიაქტიური ნივთიერებებით მას შემდეგ, რაც მიმდინარე წლის 21 იანვარს ჩრდილოეთის ვარსკვლავის ყურეში დაიმსხვრა „ბ-52" ტიპის ამერიკული ბომბდამშენი, რომელზეც იყო ოთხი წყალბადის ბომბი.

ატომური იარაღის პენტაგონელი სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ „ბ-52" ტიპის ბომბდამშენის კატასტროფის შედეგად შეიძლება მომხდარიყო ატომური ბომბებიდან რადიოაქტიური ნივთიერებების გადინება, რომლებიც გავრცელდნენ ჰაერში, ყინულზე და ყურის წყალში.

დასავლეთის ქარები, აღნიშნავს კანადის საგენტო „კანადიენ პრესი", წაიღებენ მოწამლულ ყინულს ჩრდილოეთის ვარსკვლავის ყურიდან კანადის მიმართულებით. თუ საგენტოს ამ ცნობით ვიმსჯელებთ, კანადელები შეშფოთებული არიან მოგლენების ასეთი განვითარებით.

მოგზაურობა ფოტოაპარატით

ეთიოპია. სოფლის ქუჩაში. ფოტო ვ. მატვეევისა. (საკ-დესის ფოტოქრონიკა).

ყოველი მხრიდან

უცხოეთის პრესის ფურცლებზე

უცხოეთის პრესა აშუქებს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის ვიზიტს საბჭოთა კავშირში. ბევრი მიმომხილველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის მეგობრობის განმტკიცებას, მშვიდობის განმტკიცებას ახლო აღმოსავლეთში.

ბარშავის ყველა გაზეთი ხაზს უსვამს ცნობებს, რომ დღეს გაიხსნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც ეძღვნება პარტიის მე-5 ყრილობისათვის მზადებას. „ტრიბუნა ლუდუ" წერს, რომ პარტიის V ყრილობის აღსანიშნავად პოლონეთის საწარმოთა კოლექტივები დადგენენ შრომის ვახტზე. საყრილობო ეალდებულებათა წარმატებით შესრულებამ, ხაზს უსვამს გაზეთი, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საწარმოო გეგმების გადატარებით შესრულებაზე.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისადმი მიძღვნილ სარედაქციო სტატიაში გაზეთი „ეოლნეე ვოლნოსტი" წერს, კერძოდ, „ყოველივე, რაც სახალხო პოლონეთმა ომისშემდგომ წლებში მოიპოვა ისტორიული განვითარების ახალ გზაზე, მჭიდროდ დაკავშირებულია პარტიასთან, მის პოლიტიკასთან, მის ხელმძღვანელ როლთან ხალხის ცხოვრებაში. ეს სიმართლეა, რომელსაც ვერ უარყოფს ვერავინ, ვინც სამართლიანად აფასებს ფაქტებს".

პრალის დღიანდელი „გაზეთის მთავარი თემა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის საოლქო კონფერენციათა მუშაობის შეჯამებაა. ეს კონფერენციები მიმდინარეობდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ყრილობის მზადებისათვის „ნეოლეფო ბოდოვ" ბოლო ნომერში ეკითხებიან, „ეკონომიკური ექსპერიმენტი ბოლო ეტაპზე". ეს ექსპერიმენტი ტარდება ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ბერლინი. (საკ-დესი). 107,7 პროცენტით შესრულეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ემოქმედებმა მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გეგმა. წლის პირველ ნახევარში მათ ააგეს 52 დიდი გემი, აქედან — 46 საექსპორტოდ, მათ შორის 31 გემი — საბჭოთა კავშირისათვის.

გემების ექსპორტის მხრივ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას ამჟამად მეექვსე ადგილი უკავია მსოფლიოში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გემთმაშენებელი მრეწველობის 40 ათას მოშაკთან ერთად კარგად შრომობენ ეგრეთვე ნაციადგურის მუშები. მათაც გადაჭარბებით შეასრულეს მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვის საგეგმო დავალება.

იუგოსლავია

ახალი ელსადგური

ბელგრადი. (საკ-დესი). იუგოსლავიის ქალაქ კოსტოლაცის ათასობით მოქალაქე მონაწილეობდა საზეიმო მიტინგში „კოსტოლაც-2" თბოელექტროსადგურის მწყობრში ჩადგომასთან დაკავშირებით.

ახალი ელექტროსადგურის სიმძლავრეა 100 ათასი მეგავატი. იგი გამომიმუშავებს ელექტროენერგიას ხერხის როგორც საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, ისე სამრეწველო საწარმოებისათვის.

იაპონია

შრომის უსაფრთხოების უგულებელყოფა

ტოკიო, 8 ივლისი. (საკ-დესი). 6 ათასი კაცი დაიღუპა, 640 ათასი დასახიჩრდა გასულ წელს იაპონიის მრეწველობის სხვადასხვა დარგში. იუწყება რა ამას დღეს, გაზეთი „იომიური" აღნიშნავს, რომ ბევრი უბედური შემთხვევა მოხდა იაპონიის ქარხნებსა და ფაბრიკებში ფეთქებების, შახტებსა და მაღაროებში ფეთქებებისა და ჩამონგრევების შედეგად. მრავალი მუშა დაიღუპა სამშენებლო მოედნებზე, გემთსაშენებში. იაპონიის პროლეტარიატი აცხადებენ, რომ ამდენი მუშის დაღუპვისა და დასახიჩრების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. შრომის ინტენსიფიკაცია, იქსპლოატაციის გაძლიერება. ავრეთვე ის, რომ მეწარმენი უგულებელყოფენ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საჭირო წესებს.

გუდაკეშტი —ჰანოის

გუდაკეშტი, 6 ივლისი. (საკ-დესი). უნგრეთის დედაქალაქის ახიათახმით მცხოვრებმა მიიღო მონაწილეობა ღონისძიებებში, რომლებიც ხორციელდება სახელწოდებით „გუდაკეშტი — ჰანოი" ვიეტნამელი ხალხისადმი სოლიდარობის ერთთვიურის ფარგლებში. უკანასკნელი მონაცემებით, გუდაკეშტის საწარმოთა კოლექტივებმა და ცალკეულმა მოქალაქეებმა ვიეტნამის დედაქალაქისადმი დახმარების ფონდში შეაგროვეს 27 მილიონი ფორინტი.

ამ თანხიდან 10 მილიონი ფორინტი შეიტანა ბუდაპეშტის ხაჭალაქო საბჭომ.

ერთთვიურის დროს ფართოდ გაიშალა დონორთა მოძრაობა. ვიეტნამი გასაგზავნად შეგროვებულია 700 ლიტრი სისხლი.

ბრძოლები სამხრეთ ვიეტნამში

ჰანოი, 7 ივლისი. (საკ-დესი). განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა ამერიკელ ჯარების ამ ქვეკანაკოფთა წინააღმდეგ ბრძოლებში რომლებიც ოქან ისეკენ ქხესანიდან, 26 ივნისიდან 5 ივლისამდე მწყობრიდან გამოიყვანეს 1.200-მდე ამერიკელი ჯარისკაცი, ჩამოაგდეს 26 თვითმფრინავი და მოსპეს მოწინააღმდეგის 30 ავტომანქანა. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც ამოწმებს განთავისუფლების სააგენტოს.

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების სარდლობის "დაზუსტებული მონაცემებით, 18 ივნისს განთავისუფლების ძალების მებრძოლებმა ნაღმსატყორცნისა და არტილერიის ცეცხლი დაუშინეს ამერიკის ფრანგლების ბაზას 22 კილომეტრზე ჰაიფონგან. ამ ალიონმა შედეგად მოსპობილია მოწინააღმდეგის 36 თვითმფრინავი და მწყობრიდან გამოყვანილია რამდენიმე ასეული ჯარისკაცი.

ყოველი მხრიდან

ბელგრადი

ერთ-ერთ ბანკში

ბელგრადი. (საკ-დესი). ბელგრადის ერთ-ერთ ბანკში ბოლო ორ კვირაში ორ ადამიანს ეცემა ფეხბურთელ ბურეკის ფოტოსურათი. ეს ადამიანები ბანკის ოფისებიდან ფულს ინაღდებენ ბურეკის ფოტოსურათის ფონზე. ბანკი ბურეკის ფოტოსურათს ბანკნოტებზე ბეჭდავს.

ბერლინი

ბერლინელ ბავშვებს

ბერლინი. (საკ-დესი). ბერლინელ ბავშვებს ბერლინელ ბავშვებს ბერლინელ ბავშვებს

ჩვენს ეპოქა-ჟანრში

ბეჭდავს „კომუნისტის“ და სამეცნიერო კორესპონდენტები

შინაოსანელთა ობელისკი

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ გურიანთაში საზეიმო მიტინგებში გაიხსნა დიდ სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის უკვდავსაყოფი ობელისკი.

ლაურეატები

საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს კოლეგიამ და საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირს გამგეობამ დაამტკიცეს ყიურის გადაწყვეტილება, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში განიხილავდა დრამატული ნაწარმოებების საკავშირო კონკურსის შედეგებს.

ყიურო წარმომადგენლობითი იყო და თავის რიგებში ერთიანებდა საბჭოთა თეატრის, დრამატურგიის თვალსაჩინო წარმომადგენლებს.

1967 წელს ყიურომ განიხილა ჩვენი ქვეყნის ასამდე თეატრის დაახლოებით სამასი სპექტაკლი.

კონკურსში მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკების თეატრები. სასიამოვნოა, რომ მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრს სპექტაკლმა — ა. გეწაძის „წმინდანები ჯოჯოხეთში“ მესამე საპატიო პრემია დაიმსახურა, ხოლო რუსთაველის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლმა „ცოცხრება კაცისა“ (დრამატურგი გ. ხუხაშვილი) წამახალისებელი დიპლომები მიიღეს.

საწირეს სიკეთე

ტყიბული. (საკ. კორ.). სოფელმა საწირემ გაითქვა სახელი, როგორც საუკეთესო საგარაჟო ადგილმა. ზაფხულობით აქ მრავალი დამსვენებელი მოდის ქუთაისიდან და ახლომახლო სოფლებიდან. აქაური ჰაერი განსაკუთრებით კარგად მოქმედებს სუსტ ბავშვებზე. მშრალი ჰაერი, მზის უხვი სხივები მალე აჯანმრთელებს ავადმყოფს. წინათ დამსვენებლებს ხასმელი წყლის ნაკლებობა აწუხებდათ. ახლა ეს გამოსწორდა. საწირის გამსხვილებულმა კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე დ. ქათამაძე) სამი კილომეტრის მანძილიდან გამოიყვანა მთის ცივი წყალი, სოფელში აიგო დიდი ტევადობის რკინაბეტონის ავზი.

კოლმეურნეობა დიდმა უმრავლესობამ სახლებში, აგრეთვე მეცხოველეობის სამმა ფერმამ, სასოფლო საბჭომ, საექიმო პუნქტმა და რკინიგზის სადგურმა მიიღეს მთის, ანკარა წყალი.

ახლა მიმდინარეობს საკოლმეურნეო წყალსადენის ქსელის გაფართოების სამუშაოები.

„ზაპოროჟეცი“ — ომის ინვალიდებს

საჩხერე. (საკ. კორ.). კორბოელელმა ზურაბ ალალიმ ვიტებსკის გათავისუფლებისათვის ომის ბრძოლებში ფეხი დაკარგა. ომის ინვალიდი პენსიას იღებს. ახლახან მან მთავრობისაგან მსუბუქი ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“ მიიღო.

„ზაპოროჟეცის“ მარკის მანქანები მიიღეს აგრეთვე ზ. კალაძის თანასოფელელებმა, სამამულო ომის მონაწილეებმა — ვ. კაპანაძემ და შ. მაკარაშვილმა.

შრიალებენ ნარგავები

450 ძირზე მეტი დიდი ზომის კედრებით დაამშვენა ზუგდიდიდან სოფლის ცენტრისაკენ მიმავალი გზა კოლმეურნეობა „ჯოსიდამ“. გამწვანდა შამგონის ცენტრი, შიდასაკოლმეურნეო გზები.

1.000 ძირი კრიპტომერია დაირგო ოქტომბრის კოლმეურნეობაში. ჰიმალაის კედრებმა, ჰადრებმა დაამშვენეს ინგირის კოლმეურნეობა. 2.000 ძირზე მეტსა თუთამ, ხეხილმა და დეკორაციულმა მცენარემ გაიდგა ფესვი აქ. ჭითაწყარ-ცაიშის ტრასაზე დაირგო 2.000 ძირი მარადმწვანე ხეები.

ლ. მაძაცარია,
ზუგდიდის სატყეო მეურნეობის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მეტყევე.

ცნობათა კუთხე

მკითხველის თხოვნით

☐ **ქარელის რაიონის სოფელ ფცის საშუალო სკოლას მიენიჭა ქართველი მწერლის ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას სახელი.**

☐ **ჩაის** ფოთლის კრეფის სეზონის პერიოდში წარმოების ტექნოლოგიური პროცესების უწყვეტობის, ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების და ფოთლის უდანაკარგოდ დამუშავების უზრუნველყოფის მიზნით, ტრესტ „საქართველოს ჩაი“ ჩის პირველადი გადამუშავების ფაბრიკებს ნება ეძლევა დაიტოვონ გადავიდნენ ექვსდღიან სამუშაო კვირაზე 1968 წლის 1 მაისიდან 1 ოქტომბრამდე.

☐ **ტურისმის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს** რიგის სახელმწიფო ნაკრძალის ავადხარის მიჯნის № 3 კვარტალში გამოეყო ტყით დაუფარავი 2 ექტარი მიწის ნაკვეთი 200-ადგილიანი ტურისტული ბაზის, სასადილოსა და კულტპავილიონის მშენებლობისათვის.

☐ **შეიქმნა საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რესპუბლიკური კომისია, რომლის თავმჯდომარედ დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ალხ. ა. ლაბაბუა. შესაბამისი კომისიები შეიქმნა აფხაზეთის ასსრ-ში, აჭარის ასსრ-ში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.**

☐ **კილმეურნემობებს რჩება მიეცათ განსაზღვრულ** თავიანთი სასსრებით საკოლმეურნეობათაშორისო სასლების მშენებლობა ღონა მოხუცი და ინვალიდი კოლმეურნეებისათვის.

☐ **დაწესდა,** რომ სახალხო მსაჯულები, საზოგადოებრივი ბრალმდებლები და საზოგადოებრივი დამცველები, თუ ისინი კოლმეურნეები არიან, სასამართლოში თავიანთი მოვალეობის შესრულებისას შრომის ანაზღაურებას მიიღებენ კოლმეურნეობებიდან, საშუალო წლიური გამომუშავების მიხედვით.

☐ **ჩაქვის** და წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობები, ყულარისა და ალგეთის მეგვნახვეობის საბჭოთა მეურნეობები და ხეთის დაფინის და ციტრუსოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობა 1968 წლის მეორე კვარტალიდან გადაყვანილი არიან სრულ სამეურნეო ანგარიშზე.

☐ **კოლმეურნეები, რომლებიც შიდარესპუბლიკური, სასოფლო-სამეურნეო გადასახლება-დასახლების წესით 1968 წელს გადასახლდებიან ბარდანეთის, ზუგდიდის, ხაშურის, წყალტუბოს, წითელწყაროს რაიონებში და აჭარის ასსრ-ის რაიონებში, თავისუფლდებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან ხუთი წლის ვადით.**

☐ **შპანასპნელ ხუთწლეულში (1963-1967 წლებში) საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ხის დროებითი ხიდების ნაცვლად აშენდა 444 კაპიტალური ხიდი.**

კურორტი ბაბრა. სურათზე: დამსვენებელთა ერთი ჯგუფი ჩელიუსკინელთა სახელობის სანატორიუმში.
ფოტო ს. კორეტკოვისა.

ავი მეზობლის ყოლასა...

რა არ ხდება

სოფელ ხაშმის კოლმეურნეობის გამგეობამ ივანე იოსებისძე ქოქრაშვილს დიდი ნდობა გამოუცხადა და 1965 წლიდან მეღორეობის ფერმა ჩააბარა. რამდენიმე თვის შემდეგ საოვლეზიო კომისიამ ფერმა შეაფასა. გამოარკვა, რომ ფერმას 16 სული ბურავაკი აკლდა. დანაკლისი 600 მანეთი ი. ქოქრაშვილს დაეწერა ასანაზღაურებლად.

განაწყენებულმა ფერმის გამგემ კოლმეურნეობის მთავარ ბუხჰალტერს მ. აბურჯანიას მოსთხოვა დანაკლისი ჩამომაწერეო. ბუხჰალტერმა უარი უთხრა უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე.

— არ ჩამომაწერ დაკისრებულ დანაკლისს? მაშ მე ვიცი. გადავიდი სამაგიეროს, გავამწარებ, ამოგიგდებ ოჯახს, — გაბრაზებული ი. ქოქრაშვილი მჯიღს იცემდა გულში და თან გეგმას აწყობდა ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

1965 წლის 14 ნოემბერს შუაღამისას მ. აბურჯანიას სახლი ეზოში აფეთქებამ შეაზანზარა. ფანჯრის მინები ჩაიღეწა. შემზარავ ხმაზე მეზობლები გამოცვივდნენ.

— ვინ უმტრო ასეთი ვერაგული განზრახვითო?! — გაკვირვებული კითხულობდა თავშეყრილი ხალხი.

ამ ბოროტების გამკეთებელი ი. ქოქრაშვილი კი გულში იღიმებოდა და იძახდა: მეტი გეკუთვნის. არ ჩამომაწერ? უარესს გიზამ.

გავიდა დრო. ი. ქოქრაშვილის გულში ბოღმა არ ნელდებოდა, იგი ვერ იტანდა დავალიანების დაქვითვას. დანაკლისის ჩამოსაწერად რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მიმართა.

ი. ქოქრაშვილმა შეიტყო, რომ მისი განცხადება ხაშმის კოლმეურნეობის გამგეობას გაეგზავნა განსახილველად. მან კვლავ მიმართა. ბუხჰალტერს, გამგეობის სხდომაზე მხარი დამიჭირეო. ბუხჰალტერმა გამგეობას მოახსენა, რომ დავალიანების ჩამოწერის არავითარი საფუძველი არ იყო.

— კარგი. არ ჩამომაწერ ხომ! მაშ მე ჩამოგწერ ამ ცხოვრებიდან.

1967 წლის 11 ოქტომბერს, ღამით კვლავ აფეთქების ხმამ მოიცვა მ. აბურჯანიას საცხოვრებელი სახლი და ეზო. ხელახლა შემინული აივანი მთლიანად დაზიანდა, სახლი შეირყა. კვლავ მეზობლების ჩოჩქოლი, კვლავ მსჯელობა და სკა-ბაასი, კვლავ ი. ქოქრაშვილის გესლიანი ღიმილი.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებმა გამოძიება დაიწყეს. შეკრებილი მასალებით ეჭვი მიტანილი იქნა ი. ქოქრაშვილზე. გაჩხრიკეს მისი საცხოვრებელი ბინა და კვალსაც მიაგნეს. უკოვნეს გადამალული 5 მეტრი სადენტანაცო ზონარი, კაფსული, ფეთქებადი ნივთიერება კრისტალებისა და ფეხნილის სახით. ი. ქოქრაშვილმა აღიარა ჩადენილი დანაშაული.

— აბა რა მექნა, გამამწარა ბუხჰალტერმა! თავისი გაიყვანა და არ ჩამომაწერა დანაკლისი. სამაგიეროს გადახდისათვის სხვი საშუალება ვერ გამოვნახე, გარდა სახლის აფეთქებისა.

ი. ქოქრაშვილს მარტო ეს ბოროტება როდი აქვს ჩადენილი. მან ზური ილია ფერმის მეყოფილებზე ე. ჩიტიეკაშვილსა და ფ. ოღლაიშვილზე. პირველს 300 ძირი ვაზი გაუკაფა, მეორეს კი პურში გარეული დარიშხანით 12 სული ბერგაკი დაუხოცა. გულქვამ არც მესაქონლეობის ფერმის გამგე ს. თურმანაული დაინდო. მან და სოხინა ნახუცრიშვილმა ს. თურმანაულს ერთ ღამეს დაუგლიჯეს კიტრის აყვავილებული ბარდები, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ 718 ძირი ვაზი გაუკაფეს.

ასეთი იყო ივანე იოსების-ძე ქოქრაშვილის შავბნელი შურისძიება, რომაც დიდი ზიანი მიაყენა სოფელ ხაშმის ზოგიერთ ოჯახს და მთელი სოფლის მცხოვრებთა დიდი აღშფოთება გამოიწვია.

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის და საგამომძიებლო სამმართველოს მუშაკთა (უფროსი ოპერუფლებელი დ. ონანაშვილი, უფროსი გამომძიებელი თ. ჩხიკვაძე) აქტიურმა მოქმედებამ ფარდა ახადა ი. ქოქრაშვილის მიერ ჩადენილ ბოროტებას. იგი საკანის სასჯელს მიიღებს.

ვ. ხმალაძე.
საქართველოს სსრ სწდს საგამომძიებლო სამმართველოს უფროსის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს

ჩხოროწყუს მექანიკური ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1968-69 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების I კურსზე **ჩაის ფაბრიკების მოწყობილობის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და საბუხალტრო აღრიცხვის სპეციალობებზე.**

ტექნიკუმი მოამზადებს: 1. ჩაის ფაბრიკის მოწყობილობის მექანიკოსებს; 2) **სოფლის მეურნეობის მექანიზატორებსა და ბუხალტრებს.**

ტექნიკუმში მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი 30 წლამდე ასაკისა, რომლებიც ჩაბარებენ გამოცდებს არასრული საშუალო სკოლის პროგრამით ყველა სპეციალობებზე შემდეგ საგნებში: 1. **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** — წერა (წაკითხულის შინაარსის გადმოცემა), 2. **მათემატიკაში** (ზეპირი).

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებსაც არასრული საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ქების სიგელით.

ტექნიკუმში ჩარიცხული მოსწავლეები არსებული წესის თანახმად უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ტექნიკუმის დირექტორის სახელზე არჩეული სპეციალობის აღნიშვნით.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1) **განათლების მოწმობა** — არასრული საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა (დედანი), 2) **ავტობიოგრაფია**, 3) **ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ** (ფორმა № 286), 4) **სამი ფოტოსურათი** 3×4 სმ, შემოწმებული (ადაილებული უქუდოდ).

განცხადებების მიღება იწარმოებს 31 ივლისამდე ჩათვლით. მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

მისამართი — დაბა ჩხოროწყუს მექანიკური ტექნიკუმი.

რადიო

10 ივლისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — სოფლის მეურნეობის მოშაკთათვის. საუბარი „სიახლენი მიბმსტნეობაში“, 07.30 — საყვარელი მელოდიები, 08.30 — ი. შტრაუსის ვალსები, 09.30 — რესპუბლიკური ვიზეთების ფურცლებზე, 10.30 — ე. დანილოვი. ნარკვევი „სვანი ქალები“ (მოსკოვი), 11.00 — უკანასკნელი ცნობები, 11.15 — რადიოჟურნალი „ჯანმრთელობა“, 11.45 — კონცერტი, 12.10 — „ლენინური პარტიის მებრძოლი“. რადიომოთხრობა (მოსკოვი), 12.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე“, 12.45 — ლ. იაშვილი. სიმღერები, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწვნაული სტატია, 13.40 — ო. თაქთაქიშვილი. ტელეოპერა „ჯილდო“, 14.00 — ჯადოსნური სალამური“. მუსიკალური გადაცემა (მოსკოვი), 15.30 — „მეგობრების ხმები“. გადაცემა მომძე სოციალისტური ქვეყნებიდან (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.35 — კონცერტი მოსწავლეთათვის. „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — ბახი ბრანდენბურგის კონცერტი, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — ა. აიდინიანის კონცერტი, 19.00 — საუბარი — „პროპაგანდისტი — ყურადღების ცენტრში“, 19.20 — ო. ბარამიშვილი. ჯამრული ნაწარმოებები, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — სიმღერები მ. ბერნესის შესრულებით, 20.20 — საერთაშორისო კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“, 21.00 — „ძალისპირული“, 21.10 — „კონცერტი-საუბარი „ა. სკრიაბინი“, 21.50 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვი), 22.00 — საუბარი „ბუშთა კლასი ქართულ სამკოთა პროზაში“, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — მღერის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა“, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

9 ივლისი

11.05 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ფიზიკაში, 12.00 — მოსწავლეთათვის — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მარკ ტვენის თავგადასავალი“ (მეორე სერია), 12.30 — ჩეხოსლოვაკიური მხატვრული ფილმი „სიკვდილი ფარდის იქით“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — კინონარკვევი, 18.30 — პროგრამა ბავშვებისათვის: 1. ინტერვიუ განათლების მინისტრთან, 2. „ცირკოდილა ეკრანი“, 19.20 — კინონარკვევი, 19.30— გადაცემა „მეზავრის თვალით“, 19.55 — მუსიკალური ფილმი „მუსიკის ძალა“, 20.50 — გადაცემა ციკლიდან სახელოვანი სპორტსმენები. ელენე ციხითაშვილი, 21.15 — მხატვრული ფილმი „მშობლიური სისხლი“, 22.40 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 23.05 — პროგრამა მეორე დღისათვის.

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა 11-დან 00 ს. და 30 წუთამდე.

კინო

9 ივლისი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), ფილარმონიის ბაღი, საქართველო (წითელი დარბაზი), გაზაფხული, კოლხიდა (საზამთრო), ეკრანი, ბლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — **ლონდრე,** ამირანი (საზაფხულო), ოქტომბერი, ისანი (საზამთრო), 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი), ჯაკუბაძის სახელობის კულტურის სახლი ბათუმი, სპორტი, სპარტაკი — **მაიორი „ვიბრი“** (I, II სერია), საქართველო (მწვანე დარბაზი), კოლხიდა (საზაფხულო), კოლმეურნე — **ერთგული ხელი** — **ინდიელთა მეგობარი,** ისანი (საზაფხულო), ვაკის პარკი — **კირკეტი კაკალი,** 26 კომისრის სახელობის (I დარბაზი) — **ზუტგის ქარს გისუნთვენ, „ლუჩარ ფრინველო“,** 26 კომისრის სახელობის (II დარბაზი) — **კუთხის ოთახი,** 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — **დიულაბია,** ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, კომკავშირელი — **დაუდგარნი,** კომკავშირელი — **ანდრეიკა,** კომკავშირელი (4, 6, 8, 10 ს.), ყაზბეგი (I დარბაზი), თანამგზავრი, ნაკადული, ოფიცრთა სახლი — **თავგადასავალთა მაძიებელნი,** თბილისი, ყაზბეგი (II დარბაზი) — **ოსტატი ჯალათი,** გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), ბლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **თანამემამულენი,** გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **წითელი მანტია,** ბათუმი, კოლმეურნე — **სირტაკი,** თანამგზავრი — **გადაარჩინეთ წყალწაღებული,** ნაკადული — **საბაერო მეეტლე,** 26 კომისრის სახელობის (I დარბაზი) — **ქალი და მამაკაცი,** 26 კომისრის სახელობის I დარბაზი (1, 5, 9, ს.) — **მდივანი ქალი,** კომსომოლი — **გაუმარჯოს სისკო კიდს** (11 ს.), **შურისძიება, ბუძონის ყურე** (1 ს.), **უჩინარი ადამიანი, უჩინარი ადამიანის დაბრუნება** (4 ს. 30 წ.), **კატორღიდან გაქცევა, მერი პიკფორდის კოცნა** (8 ს.).

თეატრები

9 ივლისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბაიადერა (მე-3 აბონ. მე-6 წარმოდგენა), **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სიბიდოსწერო ოპერეტა, **რუსთაველის სახელმწიფო დრამატული** — ფსკერზე (აბონ. № 16, მე-6 წარმ.).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-16, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-96-96.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 04158

საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

მომავალი ფლეიოსნები

ბათუმის ხაზღვაო ტექნიკუმი ერთ-ერთი უძველესი სასწავლებელია შავ ზღვაზე. მის აღზრდილებს შეხვდებით ჩვენი ქვეყნის ჩრდილ ნავსადგურში და შორეული ნაოსნობის გემებზე. **სურათზე:** მასწავლებელი გ. ვაინი (მარცხნიდან) კურსანტებთან პრაქტიკულ მეცადინეობაზე სანაოსნო ასტრონომიაში.
ფოტო ს. კილაძისა.

ჭადრაკის მერიდიანებზე

მ. ტალის გამარჯვება

როგორც ვიუწყებოდით, მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების **მ. ტალისა** და **ვ. კორჩნოის** მატჩის მეექვსე პარტია გადაიდო. კვირას მოეწყო აღნიშნული პარტიის დამთავრება, რომელიც ათ წუთს გაგრძელდა. **ვ. კორჩნოიმ** მხოლოდ ორი სვლა გააკეთა, საათი გაიჩერა და ექსჩემპიონს გამარჯვება მიულოცა.

მ. ტალმა პირველი გამარჯვება იხეიმა. ამრიგად, ანგარიში გახდა 3.5:2.5 **ვ. კორჩნოის** სასარგებლოდ.

გუშინ მეშვიდე პარტიაში თეთრებით თამაშობდა **მ. ტალი.** პარტია გადიდო. მინი დამთავრება მოხდება დღეს.

არასახარბიელო სტარტი

მალმეში (შვეიცია) დაიწყო მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების საბჭოთა და დანიელი გროსმეისტერების **ბ. სპასკისა** და **ბ. ლარსენის** ნახევარფინალური მატჩი ჰადრაკში. თანაბარ მდგომარეობაში **ბ. ლარსენმა** გადაჭარბებით შეაფასა თავიანი პოზიცია, რისთვისაც დასაჯა, 39-ე სვლაზე **ბ. სპასკიმ** პირველი გამარჯვება მოგებოდა.

გუშინწინ ამ მოჯადოკაკეებს მეორე პარტია ჰქონდათ, თეთრებით **ბ. ლარსენი** თამაშობდა. პარტია გადაიდო, სადაც **ბ. სპასკის** ზედმეტი პაიკი და მოგების შანსები აქვს.

ფეხბურთი ჟურნალ „ოგონიოკის“ ფურცლებზე

ეთამაშევი ფეხბურთის ქიეგაში

„**დინამო**“ (თბილისი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 4:0 (1:0). თბილისი. 7 ივლისი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — 0. **მიილახშტეინი** (მოსკოვი).

„**დინამო**“ — **ურუშაძე** (კოტრიკაძე), **ძოძუაშვილი**, **რევაზიაშვილი**, **ჭელიძე**, **ცსოვრებოვი**, **პეტრიაშვილი**, **ასათიანი**, **ხუციცავა** (გაგაშვილი), **მეტრეველი**, **გ. ნოდია**, **მესხი**; „**ჩერნომორეცი**“ — **ბარანეცი**, **ცენინი**, **პოპოჩკო**, **ზუბკოვი**, **სირმიანტნიკოვი**, **მოსკალენკო**, **სეკეჩი**, **შიმანოვიჩი**, **ზვენიგოროდსკი**, **კუშინსკასი**, **ვარგა** (ბოკატოვი).

სასიხარულოა, რომ უკანასკნელ მატჩებში თბილისის „დინამოს“ ფორვარდებისა და ნახევარმცველების შედეგიანობა თვალსაჩინოდ გაიზარდა. გამარჯვება ხსრ კავშირის თასზე დონის როსტოვის სკა-სთან 3:0, საიუბილეო ჩემპიონატის კვირის მატჩში ოდესის „ჩერნომორეცთან“ 4:0 საკმაოდ დამაფასებურებელი ფაქტია. თუ ამას დავუმატებთ დინამოელთა დაცვის მონოლითურ თამაშს, ახლა გუნდი ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს და მისი ყოფნა ლიდერთა ჯგუფში სავსებით კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ.

„**ჩერნომორეცთან**“ **მატჩში** დინამოელთა უპირატესობა აშკარა იყო და იმაში ეჭვი არავის შეპარვია, რომ გამარჯვებაც მათ დარჩებოდათ. მაგრამ საინტერესო იყო, რა ანგარიშით? ამ მხრივ ეს თამაში უსვეოლიანი აღმოჩნდა.

მართალია, თბილისელებმა მოიგეს პირველი ტაიმი 1:0 — 22-ე წუთზე **მესხის** მიწოდებით ბურთი **ბ. ნოდიამ** გაიტანა, მაგრამ ეს ანგარიში სრულებითაც არ ასახავდა ძალთა თანაფარდობას, გოლები მეტი უნდა ყოფილიყო.

სამაგიეროდ ეს დანაკლისი თბილისელებმა მეორე ნახევარში აანაზღაურეს — დამატებით სამი ბურთი გაიტანეს. ეს მოხდა 48-ე, 67-ე და 82-ე წუთებზე. პირველად **მეტრეველის** მიწოდებით **ხურციელაძემ** თავური დარტყმით აიღო მეტოქის კარი, შემდეგ **მეტრეველმა** პენალტით (**ხურციელაძე** წაიკეცა საჯარიმო მოედანზე) გაზარდა ანგარიში და ბოლოს **ბავაშვილის** მიწოდებით **მესხმა** მეოთხე გოლით დაგვირგვინა შეხვედრა.

ამ დღეს მხოლოდ ორ დინამოელს ჩაუწერეს ოქმში **ამსიანი**, **ბანარჩენებმა** მიიღეს შეფასება — 4. რაც შეეხება „**ჩერნომორეცის**“ მოთამაშეებს, მათ მწვრთნელმა ორიანები დაუწერა.

ამ გუნდების დუბლიორთა შეხვედრაშიც თბილისელებმა გაიმარჯვეს — 2:0.

ვ. გაბელია.

ბაქოში

ბაქოში პაექრობა ჰქონდათ „ნეფტჩისა“ და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდებს. მასპინძლები დამარცხდნენ 0:1. ბურთი გაიტანა **პოლიკარპოვმა.**

დინეაცკში „**შახტორმა**“ **დაამარცხა ალმა-ატის** ქაირატი ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს **ლობანოვსკიმ** და **ეფსეევმ.**

გუშინ მოსკოვში თამაშობდნენ ადგილობრივი „**სპარტაკისა**“ და „**ტორპედოს**“ გუნდები შეხვედრის შედეგია 5:1 ტორპედოელთა სასარგებლოდ.

ჩიხში მოექცნენ...

კუთაისის ტორპედოელთა სატურნირო მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა.

ვერ ვიტყვით, რომ ლენინგრადის „ზენიტთან“ მატჩში ქუთაისელები საკმაო მოხდომებით არ იბრძოდნენ. ისინი პირველი ტაიმის 30 წუთის განმავლობაში არ მოშორებიან მეტოქის საკარიმო მოედანს, მაგრამ გოლი არ ჩანდა.

მეორე ნახევარში სტუმრები გააქტიურდნენ. 58-ე წუთზე მეკარე **ავსახვაძემ** ახსნა გუნდი გოლისაგან, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ლენინგრადელმა **პოლიაკოვმა** მაინც გახსნა ანგარიში. ეს ერთადერთი გოლი აღმოჩნდა მთელ თამაშში. გიმარკვეთ „ზენიტმა“ 1:0.

„**ტორპედოს**“ შემადგენლობაში იყვნენ — **კვახვაძე, ზვერავა, ებრალიძე, შერგელაშვილი, ჩსაიძე, ზარია (ბითანავა), ერქომაიშვილი, ხუციშვილი, ვეკუა, ხაჟალია, ბერხაძე.**

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.



ეიმბლდონის ტურნირის ფინიში

დამთავრდა მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატად აღიარებული უიმბლდონის ტურნირი ჩოგბურთში.

როგორც ვიუწყებოდით, პროფესიონალთა და მოყვარულთა ამ დიდ ტურნირზე საბჭოთა ჩოგბურთელების **ო. მოროზოვასა** და **ა. მეტრეველის** შერეული წყვილი ფინალში გავიდა. აქ ისინი შეხვდნენ უიმბლდონის ასპარეზობის სამეზის გამარჯვებულებს ავსტრალიელებს **მ. სმიტ-პორტსა** და **ჯ. ფლეტჩერს.** გაიმარჯვეს ავსტრალიელებმა 6:1, 14:12.

რამდენიმე სტრიქონით

● **იტალიაში** გრძელდება ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში ქალთა გუნდებისათვის. სსრ კავშირის გუნდმა მორიგ მატჩში დაამარცხა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კალათბურთელები 105:27 და ფინალში მოსაწილეობის უფლება მოიპოვა.

● **ევროპის** ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზორმა ფილიპმა კ. კანბანსნიმმა სამჭიდაო გაიმეორა ი. ტალგინის მსოფლიო რეკორდი სამჭიდაოში — 512,5 კილოგრამი (170+150+192,5). მეოთხე დამატებით გამოსვლისას კ. კანგასნიემმა ატაცაში 155,5 კილოგრამი აწია და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

მატჩები, გოლები, ავტორები

7 ივლისი დიდი ფეხბურთის დღე იყო.

სსრ კავშირის ჩემპიონს — კიევის „დინამოს“ პაექრობა ჰქონდა ერევანში „არარატთან“. აქ მატჩის ბედი კიეველთა სასარგებლოდ გადწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომლის ავტორი **მედვიდი** იყო.

დონის **როსტოვის** სკა-სა და **მინსკის** „**დინამოს**“ **მატჩში** **მეტოქეებმა** **ორ-ორი** ბურთი გაიტანეს და **შეხვედრა** ფრედ **დაამთავრეს.** ანგარიში **არმიელმა** **მატვეევმა** **გახსნა,** **მაგრამ** **მალე** **მუსტიზინმა** **წონასწორობა** **აღადგინა.** **მეორე** **ნახევარში** **დინამოელმა** **სუსპროვმა** **თავისი** **გუნდი** **წინ** **გაიყვანა.** **დონის** **როსტოველები** **დამარცხებას** **მხოლოდ** **ბოლო** **წუთებში** **გადაურჩნენ.** **გოლი** **გაიტანა** **მაზინსკმ.**

ლუგანსკის „**ზარიამ**“ **საკუთარ** **მოედანზე** **დაამარცხა** **ტაშკენტის** „**პახტაკორი**“ **ანგარიშით** **2:1.** **სამიგე** **ბურთი** **გატანილ** **იქნა** **მეორე** **ნახევარში.** **ჯერ** **შაკუნნა** **და** **პროდანეცმა** **ორ-ორ** **აიღეს** **მეტოქის** **კარი,** **შემდეგ** **კი** **70-ე** **წუთზე** **ჩემპიონატის** **მთავარმა** **ბომბარდირმა** **ტაშკენტელმა** **აბდურაიმოვმა** **ერთი** **სპასუხო** **ბურთი** **გაიტანა.**

შეუკოვარი **გამოდგა** **მატჩი** **მოსკოვში** **ადგილობრივი** „**ლოკომოტივისა**“ **და** **კუიბიშევის** „**კრილია** **სოვეტოვის**“ **გუნდებს** **შორის.** **შეხვედრის** **ბედი** **გადაწყვიტა** **ერთადერთმა** **გოლმა,** **რომელიც** **გაგანილ** **იქნა** **თამაშის** **დამთავრებამდე** **6** **წუთით** **ადრე** **აბამალიანის** („**ლოკომოტივი**“) **მიერ.**

კიროვაბადში **ადგილობრივ** **და** **მოსკოვის** **დინამოელთა** **შორის** **მატჩი** **დამთავრდა** **ფრედ** **1:1.** **